

ლელა ავალიანი, ლუიზა ხაჭაპურიძე, ომარ აქამი

ღმერთთან დაკავშირებული გამონათქვამები  
არაბულსა და ქართულში

ყველა ხალხის მეტყველებაში გვხვდება ღვთის სახელის შემცველი გამონათქვამები. ადამიანები მას ძირითადად ამა თუ იმ ემოციის გამოსახატავად იყენებენ როგორც ყოველდღიურ ურთიერთობაში, ასევე კონკრეტულ სიტუაციაში.

სტატიაში განხილულია ის გამონათქვამები, რომლებიც ორივე ენაში დასტურდება: **الله** — ვახსენოთ ღმერთი; **الحمد لله** — მადლობა ღმერთს; **إن شاء الله** — თუ ღმერთი ინებებს; **بخزي العين** — ცუდი თვალისაგან ღმერთმა დაგვიფაროს; **اللهم صل على النبي** — ღმერთო, შენ დალოცე წინასწარმეტყველი; **أمر الله** — ღმერთს გაფიცებ; **أجت والله جليا** — ითხოვე და ღმერთი მოგცემს; **أمر الله / اعتمدت على الله و عليك** — ღმერთს მიახდე საქმე, ღმერთს მიენდე, ღმერთს დაეყრდენი; **لا يروينا / الله لا يروينا** — ღმერთმა ნუ გაგვაგონოს, ღმერთმა არ ინებოს, ღმერთმა ნუ ქნას; **الفضل لله** — ღმერთის შემწეობით, ღვთის წყალობით; **سئال المتهم عند ربه بريء** — არასწორად ეჭვმიტანილი სუფთაა უფლის წინაშე; **الله يجيبك يا طولة البال** — ღმერთმა მოგცეს მოთმინება; **لا حول ولا قوة إلا بالله** — ღვთის გარეშე მცდელობა უსაფუძვლოა; **الله يعطينا خير مما نرضى** — სიტყვასიტყვით: “ღმერთმა მოგცეს ხეირი სიცილის სახით”.

მასალის განხილვამ აჩვენა, რომ საანალიზო ლექსებებს ორივე ერში საფუძვლად რელიგიური ხედვა უდევს. უნდა აღინიშნოს, რომ არაბულში მსგავსი ფრაზები ძირითადად რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობს, ქართველთა მეტყველებაში კი ღვთის სახელის შემცველი მსგავსი გამონათქვამების გვერდით გვხვდება ფსალმუნებიდან და ახალი აღთქმიდან მომდინარე ფრაზებიც.